

(HOMILY ON THE SAINT GREGORY PALAMAS 15/3/2020 IN GEORGIAN)

წმინდა გრიგოლ პალამას, თესალონიკელი არქიეპისკოპოსის ხსენების კვირა დღის
ქადაგება

15 მარტი 2020 წელი

დღეს ჩვენ ვიხსენებთ ეკლესიის დიდ მოძღვარს, განმანათლებელ გრიგოლ პალამას, თესალონიკელ არქიეპისკოპოსს. ეკლესიის წმ. მამების მაგალითის მიბადვით, წმ. გრიგოლი, იცავდა მართლმადიდებლურ მოძღვრებას ცრუ სწავლებისა და ერეტიკოსების თავდასხმისაგან. ამიტომ ეკლესიამ დააწესა დიდი მარხვის მეორე კვირა დღე, როგორც მისი ხსოვნისა და მართლმადიდებლობის ზეიმის, რომელიც დიდი მარხვის პირველ კვირას აღინიშნა, გარგრძელება.

წმ. გრიგოლი დაიბადა კონსტანტინეპოლში 1296 წელს. მამამისი სენატორი და იმპერატორის ნდობით აღჭურვილი რჩეველი იყო და გარდაიცვალა, როდესაც მისი ვაჟი მხოლოდ 7 წლისა იყო. ახალგაზრდა გრიგოლიზე მზრუნველობა იმპერატორ ანდრონიკე მეორემ ითავა, რომლის შვილიც მისი თანატოლი იყო. ჩანდა, რომ ასეთ სიტუაციაში, იმპერატორის კარზე გრიგოლის მაღალი მდგომარეობა გარანტირებული ქონდა. წმ. გრიგოლიმ დიდ წარმატებას მიაღწია თავის კვლევებში ფილოსოფიაში, თუმცა 12 წლის ასაკში სახელმწიფო მოღვაწის კარიერის მაგივრად, იგი ასკეტურ ცხოვრებას შეუდგა ფილადერფიის ეპისკოპოსის მეთვალყურეობით. წმ. გრიგოლი ფრაკიის, პაპიკონის მთის მონასტერში განმარტოვდა, მოგვიანებით ათონის წმ. მთაზე მოსაყდრეობდა.

როდესაც თესალონიკიაში ერესმა იჩინა თავი, წმ. გრიგოლი იძულებული იყო უარი ეთქვა წყნარ განმარტოებაზე და ცრუ სწავლებისადმი ბრძოლა დაიწყო. მრავალი წლების განმავლობაში იგი დამაბულ პოლემიკასა და დოგმატურ დავაში იყო ბერ - ფილოსოფოს ვარლამთან, რომელიც კალაბრიიდან (იტალია) იყო, რომელიც თესალონიკში ჩამოვიდა და დამახინჯებულ მართლმადიდებლურ მოძღვრებას ქადაგებდა. ვარლამი ბოროტად მომბდა ისიქამისა და სწორი შეხედულების წინააღმდეგ. რათა დაეცვა მართლმადიდებლური რწმენა ამ საკითხებში და ყველასათვის გასაგები ყოფილიყო, გრიგოლ განმანათლებელმა მრავალი წიგნი დაწერა. მისი ნაწარმოებები წმ. სულზე, ფამორის სინათლის ბუნებაზე, ისიქმაზე და სხვა, წარმოადგენდნენ მართლმადიდებლების სულიერი კლასიკის მაგალითებს. ამ სულიერი ბრძოლის შედეგად წმ. გრიგოლიმ დაამარცხა ვარლამი, რომელიც იძულებული გახდა ბოდიში მოეხადა თავისი მცდარი შეხედულების გამო და იტალიაში დაბრუნებულიყო.

1326 წელს განმანათლებელი გრიგოლი ხელდასხმული იყო მღვდლად, მოგვიანებით კი არქიეპისკოპოსი გახდა. იგი ცნობილი იყო არამარტო საღვთისმეტყველო აკადემიური შრომებით და მართლმადიდებლობის შესახებ ნაწარმოებებით, არამედ თავისი მოღვაწეობით. იგი იღწვოდა თავისი სამწყროს სულიერი კეთილდღეობისათვის და მისი წმ. ცხოვრება მისაბადი იყო. იგი 1359 წლის 14 ნოემბერს გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, მორწმუნეებისათვის ის უკვე წმინდანი იყო და მისი წმინდანობის დამამტკიცებელი ბევრი სასწაული მოხდა, მისი უშუალო მონაწილეობით. ოფიციალურად წმ. გრიგოლი კანონზომიერებული იყო 1368 წელს მსოფლიო პატრიარქის მიერ. მისი წმ. ნაწილები მოთავსებული იქნა თესალონიკის საკათედრო ტარში, სადაც დღევანდელ დღემდე განისვენებენ. ჩვენამდე მოღწეული წმ. გრიგოლის ნაშეომებიდან; - მისი „ქადაგებები“.

რათა უკეთ გავიგოთ, თუ ვინაა გრიგოლ განმანათლებელი, მოდით რამდენიმე მისი სიტყვა წავიკითხოთ მისი ნაწარმოებიდან საუბრები წმ. ქრისტიანული საიდუმლოეების შესახებ (56 - ე საუბარი). დიდი მარხვის დროს ჩვენთვის განსაკუთრებით სასაეგებლოა სტრიქონების მოსმენა.

წმ. გრიგოლი წერს:

როგორც მიწათმოქმედი გუთნით მიწას ხნავს, მერე თესავს, ასევე ჩვენც უნდა გავილამაზოთ და მოვამზადოთ ჩვენი თავი ზეციური მარცვლის მისაღებად, ე.ი. - სიტყვა სწავლისა.... ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენი მხრიდანაც ის მომზადებული იყოს, მონანიებისა და მომზადების გზით, ნიშნით, რომ ადამიანმა შვითვისა მაცხოვრებელი მარცვალი - უფლის სიტყვაა,...

ამისათვის აუცილებელია, რომ თვითოეულ თქვენგანს, ძმანო, ჰყავდეს სულიერი მოძღვარი და მოდიოდეს მასთან ნდობით და მოკრძალებული იყოს მის წინაშე და აღიაროს მასთან თავისი ცუდი მანკიერებები და გულითად მიიღოს სულიერი წამალი, ფესვებიანად ამოძირკვოს სულიდან ეკალი და ცოდვის მგლები, რომელიც თითოეულმა თქვენგანმა გამოკვეთა ვნებითა და ცხოვრებისეული ტკბობის სიყვარულით.

ამიტომ განვიწმინდოთ, ძმებო, სხეულიც და პირიც და ფიქრებიც და სიყვარულით და სუფთა სინდისით დავიწყოთ... ამ გზით დაახლოებით ჩამოვირეცხავთ ცოდვებს, რომელიც სულის სიღრმეში გვაქვს, შევუდგეთ. იმიტომ რომ ამ გზით ჩვენ გადავრჩებით.

ამიტომ უფლის სისხლს ჩვენი სისხლი შევურიოთ, რათა ამით გავანადგუროთ იქ მყოფი ღპობა, იმიტომ რომ ამ სისხლში მდებარეობს უდიდესი და არნახული სარგებელი. ის ჩვენ ძველის მაგივრად ახლად გვაქცევს, დროებითის მაგივრად - უკვდავად; ის ჩვენ გვაქცევს უკვდავებად და აგვაყვავებს, როგორც „ხე, დანერგული თანა - წარსადინელსა წყალთასა" (ფს.1:3). საღვთო სულით, რომლისგანაც მოსავალი იღება მარადიულ ცხოვრებაში.

ამიტომ არამარტო განვიწმინდოთ თავი და ასე შეუდგეთ, არამედ შემდეგაც, როგორც მივიღეთ ეს უფლის მაღლი, შვეითვისოთ და გამოვიჩინოთ დიდი ყურადღება, რომ ვიყოთ ცოდვებზე მაღლა და სათნოება ვაფრქვიოთ (ან: დიდი საქმენი 12)) რომელმაც იწება ყოფილიყო ჩვენში, ჩვენი პოვნის საფუძველზე, იმის თანხმობით, რომ ჩვენ მისნაირები ვართ. გავითვალისწინოთ: ვისთან ვართ ერთობაში და რისი ღირსებიც გავხდით და გაგვიკვირდეს უდიდესი მაღლი და უდიდესი მისი სიყვარული ჩვენდამი, მოვაწყოთ ჩვენი საქმეები და სიტყვა და ფიქრები „რა - იგი არს ნება ღმრთისა: კეთილი, სათნო და სრული" (რომ. 12:2).